

წყლის რესურსების კასკადური რეგულირების ჰიდროლოგიური საფუძვლები
საქართველოში

*ვაჟა ტრაპაიძე, დავით კერესელიძე, კახაბერ ბილაშვილი,
გიორგი ბრეგვაძე, ირაკლი მეგრელიძე*

ელ.ფოსტა: vazha.trapaidze@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, მისი რესურსები არათანაბრადაა გადანაწილებული და გამოყენების მიმდინარე ტენდენციები (წყალსარგებლობის ზრდა) გვაფიქრებინებს, რომ ჰიდროტექნიკური ნაგებობებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ათვისება, აქტუალურს გახდის წყლის რესურსების კასკადურ რეგულირებას.

საქართველოში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო მდინარეული ჩამონადენის კასკადური რეგულირება და უმრავლეს შემთხვევებში წყალსამეურნეო კომპლექსები ნორმალურად ფუნქციონირებდა. თანამედროვე პერიოდშიც საკმაოდ აქტიური გახდა კასკადური რეგულირება, როგორც ძირითად მდინარეებზე, ისე შენაკადებზე, რისი კარგი მაგალითია მდინარე აჭარისწყალი

საქართველოს წყლის რესურსები და მთიანი რელიეფი, დიდ შესაძლებლობას იძლევა, კასკადური რეგულირების გამოყენებით, ჰიდროენერგეტიკული რესურსების კიდევ უფრო მეტი ათვისებისათვის. ჩამონადენის გამოყენება კომპლექსური და მულტიდისციპლინურია და ეხება მთელ რიგ სექტორებს და დაინტერესებულ მხარეებს. წყალსამეურნეო რეგულირების რეჟიმის შემუშავება და იმ ძირითადი ჰიდროლოგიური პარამეტრების გაანგარიშება-შერჩევა, რომლებიც განსაზღვრავენ ჰიდროკვანძის ნაგებობათა და წყალსაცავის მახასიათებლებს, ასევე წყალსაცავის ექსპლუატაციის წესების შედგენა, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა წარმოადგენს, მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ამოცანას. ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონის წყლის რესურსები, შესაძლებლობას გვაძლევს, ჰიდროკვანძის ექსპლუატაცია გარანტირებული იყოს წყლის სათანადო რაოდენობით. საუკეთესო წყალსამეურნეო რეგულირების რეჟიმის შემუშავება კი მნიშვნელოვნად ზრდის რეგულირების ეფექტს.